EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დებულება

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 29 ივლისის №16/01-01 ბრძანებით

განახლებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 04 მარტის N01 დადგენილებით

შინაარსი

შინაარსი 2

თავი I ზოგადი დებულებები 3

მუხლი 1. რეგულირების სფერო 3

მუხლი 2. საბჭოს მიზნები და ამოცანები 3

მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები 3

თავი II წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი 5

მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა 5

მუხლი 5. საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის არჩევა 5

მუხლი 6. საბჭოს წევრი სტუდენტის არჩევა 6

მუხლი 7. რექტორის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრის შერჩევა და დანიშვნა 7

მუხლი 8. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 8

მუხლი 9. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა 8

თავი III წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის წესი 9

მუხლი 10. საბჭოს სხდომა 9

მუხლი 11. საბჭოს სხდომის მოწვევა და დღის წესრიგი 9

მუხლი 12. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი 9

მუხლი 13. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა 10

თავი IV დასკვნითი დებულებები 10

მუხლი 14. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა 10

მუხლი 15. დებულების დამტკიცებისა და ცვლილებების წესი 11

მუხლი 16. გარდამავალი დებულებები 11

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1 აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“/ „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“) წარმომადგენლობითი საბჭო (შემდგომში „საბჭო“) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი მმართველი კოლეგიური სტრუქტურული ერთეული.

1.2 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საბჭოს უფლებამოსილებას, მის შემადგენლობასა და ფორმირების წესს, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესს, აწესრიგებს საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.3 საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, საკუთარი დებულებითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით.

მუხლი 2. საბჭოს მიზნები და ამოცანები

2.1 საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ეფექტურ მართვასა და განვითარებას, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტრატეგიული საკითხების კოლეგიური გადაწყვეტა, უნივერსიტეტის მართვისა და საქმიანობის ღიაობა, გამჭვირვალობა და მასში საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობა.

2.2 საბჭოს ამოცანაა უნივერსიტეტის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სასწავლო, სამეცნიერო და მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე კოლეგიური გადაწყვეტილებების მიღება და რეკომენდაციების განსაზღვრა; რექტორის ხელშეწყობა უნივერსიტეტის ეფექტიან მართვაში.

მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები

3.1 დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საბჭო:

ა) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს, მისიას, ხედვას, ღირებულებებს; კვლევითი საქმიანობის, ინტერნაციონალიზაციისა და სხვა პოლიტიკის დოკუმენტებს;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიის მონიტორინგის მეთოდოლოგიებს;

გ) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმის ყოველწლიურად შესრულების მონიტორინგის გეგმას;

დ) განიხილავს უნივერსიტეტის დებულებას, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ან ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხებს და არგუმენტირებულ წინადადებებს წარუდგენს რექტორს;

ე) განიხილავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, გარდა უნივერსიტეტის

ძირითადი საგანმანათლებლო და კვლევითი ერთეულებისა, შექმნის, გაუქმებისა და სხვა სახის სტრუქტურული ცვლილებების საკითხებს და არგუმენტირებულ წინადადებებს წარუდგენს რექტორს;

ვ) იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და კვლევითი ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციისა და გაუქმების შესახებ;

ზ) განიხილავს და წარუდგენს რექტორს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, გარდა უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და კვლევითი ერთეულებისა, დებულებებს;

თ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის დებულებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები, აცხადებს მის ძალადაკარგულად.

ი) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულების დებულებებს, შეაქვს მათში ცვლილებები და დამატებები, აცხადებს მათ ძალადაკარგულად.

კ) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევის წესს, შრომის შინაგანაწესს, ეთიკისა და ქცევის წესებსა და სტანდარტებს, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს;

ლ) განიხილავს და ამტკიცებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოსა და მასთან დაკავშირებულ რეგულაციებს;

მ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს და მასში ცვლილებებს, ასევე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ;

ნ) განიხილავს და ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს;

ო) განიხილავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტს, საფინანსო და ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხებში ვიცე-რექტორის ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.

პ) განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილ თითოეულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და კოეფიციენტებს. საჭიროების შემთხვევაში, ითხოვს დამატებით განმარტებებს ან ცვლილებებს. საბჭო ადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კონტინგენტს, თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული ზღვრული რაოდენობების დაჯამებით.

ჟ) ადგენს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

რ) ანიჭებს საპატიო პროფესორის წოდებას;

ს) ისმენს რექტორისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წლიურ ანგარიშებს;

ტ) ისმენს უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიურ ანგარიშს;

უ) უნივერისტეტის მისიისა და მიზნების აღსრულებისათვის ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ფ) საბჭო განიხილავს სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის ინიცირების პროცესი მიზნით

შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ წინადადებას, აფასებს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძვლიანობასა და სტრატეგიულ მიზანშეწონილობას და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს შემდგომი რეაგირებისთვის

წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 17 ნოემბრის N07 დადგენილება

თავი II
წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა

4.1 წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით, რომელთაგან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ აირჩევა 8 წევრი, ხოლო უნივერისტეტის რექტორის მიერ შეირჩევა 3 წევრი წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.

4.2 საბჭოს შემადგენლობაში ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ არჩეული წევრების სტატუსით შედიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

4.3 საბჭოს არჩეული წევრი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება 4 წევრით, უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან თითო წევრი.

4.4 საბჭოში არჩეულ წევრ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 4 წევრით, უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან თითო წევრი.

4.5 საბჭოს შემადგენლობაში უნივერისტეტის რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია შევიდეს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება და აკმაყოფილებს რექტორის მიერ შერჩეული საბჭოს წევრობის კანდიდატისათვის წინამდებარე დებულებით დადგენილ შერჩევის კრიტერიუმებს.

4.6 საბჭოს შემადგენლობაში რექტორის მიერ ინიშნება იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს სათათბირო ხმის უფლება და ასრულებს საბჭოს მდივნის ფუნქციებს.

4.7 ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების კანდიდატების წარდგენისა და რექტორის მიერ 3 წევრის შერჩევის შემდგომ, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი.

წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 21 აგვისტოს N03 დადგენილებით

მუხლი 5. საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის არჩევა

5.1. საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის აფილირებული წამყვანი პროფესორი, პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი, რომელიც ამავდროულად არ არის უნივერისტეტის სხვა არჩევითი კოლეგიური ორგანოს წევრი.

5.2. საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალი აირჩევა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

5.3. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 1 თვით ადრე ან საჭიროებისამებრ აცხადებს კონკურსს საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით.

5.4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და ვადებში წარადგინოს საკუთარი დასაბუთებული განცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევის მიზნით განცხადება არ განიხილება.

5.5. ფაკულტეტის საბჭო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 14 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს წარმოდგენილ დასაბუთებულ განცხადებებს. აფასებს კანდიდატების კონცეფციას/ხედვას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, უფლებამოსილია სურვილის შეთხვევაში გაესაუბროს კანდიდატებს წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში მათი როლის შესახებ და სხდომაზე კენჭისყრის გზით იღებს გადაწყვეტილებას იმ კანდიდატთა სასარგებლოდ, რომელთა მონაწილეობასაც წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში მიიჩნევს პროდუქტიულად.

5.6. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის არჩევის შესახებ, არჩევნების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება რექტორს დასამტკიცებლად, რომელიც არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ან უარი თქვას მის დამტკიცებაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 04 მარტის N01 დადგენილება

მუხლი 6. საბჭოს წევრი სტუდენტის არჩევა

6.1 საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის სხვა არჩევითი კოლეგიური ორგანოს ან/და თვითმმართველობის წევრი. სტუდენტი საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს სწავლების მეორე სემესტრიდან.

6.2 საბჭოს სტუდენტი წევრი აირჩევა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

6.3 ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელი სტუდენტი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 1 თვით ადრე ან საჭიროებისამებრ აცხადებს კონკურსს საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით.

6.4 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი სტუდენტი ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და ვადებში წარადგინოს საკუთარი განცხადება, რომლითაც უნდა დაასაბუთოს რატომ იქნება მისი როლი მნიშვნელოვანი და შედეგიანი საბჭოს საქმიანობაში. ამასთანავე, კანდიდატმა უნდა დაადასტუროს კონფერენციებსა და საუნივერსიტეტო სტუდენტურ აქტივობებში აქტიური ჩართულობა.

6.5 ფაკულტეტის საბჭო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 14 კალენდარული დღის

ვადაში განიხილავს წარმოდგენილ დასაბუთებულ განცხადებებს. აფასებს კანდიდატების მოტივაციას და საუნივერსიტეტო სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობას. გარდა ამისა, უფლებამოსილია სურვილის შეთხვევაში გაესაუბროს კანდიდატებს. ფაკულტეტის საბჭო სხდომაზე კენჭისყრის გზით იღებს გადაწყვეტილებას იმ კანდიდატის სასარგებლოდ, რომლის მონაწილეობასაც წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში მიიჩნევს პროდუქტიულად.

6.6 ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სტუდენტი წევრის არჩევის შესახებ, არჩევნების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება რექტორს დასამტკიცებლად, რომელიც არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ან უარი თქვას მის დამტკიცებაზე.

მუხლი 7. რექტორის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრის შერჩევა და დანიშვნა

7.1 რექტორის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრთა შერჩევის მიზნით რექტორი ბრძანებით აცხადებს კონკურსს საჭიროებისამებრ.

7.2 კონკურსის ჩატარების თარიღები და სხვა პირობები განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საბუთების მიღებამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.

7.3 საკონკურსო დოკუმენტაციის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საქმისწარმოების დეპარტამენტი.

7.4 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი უფლებამოსილი პირი ვალდებულია დადგენილი წესითა და ვადებში წარადგინოს საკუთარი დასაბუთებული განაცხადი, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის მიზნებისთვის განაცხადი არ განიხილება.

7.5 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატების მიმართ დგინდება შემდეგი საკონკურსო კრიტერიუმები:

ა) კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ბ) უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ან განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება;

გ) კანდიდატის ხედვა უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით;

7.6 საქმისწარმოების დეპარტამენტი ამოწმებს აპლიკანტები მიერ წარმოდგენილ საბუთებს და მათი სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში არეგისტრირებს კანდიდატს.

7.7 კანდიდატების მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს ორ სამუშაო დღეში საქმისწარმოების დეპარატამენტი უნივერისტეტის რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, რომელშიც მითითებული დარეგისტრირებული კანდიდატების სახელი და გვარი და დართული აქვს თითოეული

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ხედვა უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.

7.8 უნივერისტეტის რექტორი ეცნობა კანდიდატების მიერ წარმოდგენილ ხედვას უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.

7.9 რექტორი უფლებამოსილია გაესაუბროს წარმოდგენილ კანდიდატს/კანდიდატებს ან

გასაუბრების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება მათი საბჭოს წევრად შერჩევის შესახებ.

7.10 საბჭოს წვერად შერჩევის მიზნით კანდიდატთან გასაუბრებას რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა დაესწროს მოწვეული პირი/პირები, რექტორისთვის კომპეტენტური შეფასების და რჩევის გაზიარების მიზნით.

7.11 რექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ შერჩეულ საბჭოს 3 (სამი) წევრს ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

განახლებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 21 აგვისტოს N03 დადგენილებით

მუხლი 8. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა

8.1 საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამი კალენდარული წლით.

8.2 .რექტორის მიერ შერჩეული სამი საბჭოს წევრიდან სამი კალენდარული წლის გასვლის შემდეგ რექტორი უფლებამოსილია განახორციელოს ერთი წევრის როტაცია.

განახლებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 21 აგვისტოს N03 დადგენილებით

მუხლი 9. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

9.1 საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) თანამდებობის დატოვება/გათავისუფლება (ადმინისტრაციული პერსონალი წევრების შემთხვევაში);

გ) სტრუქტურული რეორგანიზაცია, რამაც გამოიწვია იმ ერთეულის გაუქმება/ცვლილება, რომელსაც წარმოადგენდა საბჭოს წევრი;

დ) უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

ე) სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა (სტუდენტი წევრის შემთხვევაში);

ვ) აკადემიური წევრის შემთხვევაში, აფილირებული სტატუსის შეწყვეტა;

ზ) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

თ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;

ი) საბჭოს სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა, რომელიც აღემატება სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული სხდომების 50 %-ს;

კ) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.

9.2 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, გარდა წინამდებარე მუხლის 9.1 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევისა, გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება.

თავი III
წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის წესი

მუხლი 10. საბჭოს სხდომა

10.1 საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

10.2 საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე ან თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საბჭოს სხვა წევრი.

10.3 საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3;

10.4 საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი წევრი/წევრები სხდომის მუშაობაში შეიძლება, მონაწილეობდეს/მონაწილეობდნენ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს წევრის/წევრების ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება.

10.5 წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, სხდომაზე განსახილველი საკითხების გათვალისწინებით, შესაძლოა, მოწვეულ იქნენ: კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, დარგისა და განათლების ექსპერტები, ასევე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.

მუხლი 11. საბჭოს სხდომის მოწვევა და დღის წესრიგი

11.1 საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.

11.2 საბჭოს სხდომის მოწვევა შეუძლია წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს, ან საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს საბჭოს თავმჯდომარისათვის დასაბუთებული წერილობითი მიმართვით, რომელსაც თან უნდა ახლდეს საბჭოზე განსახილველი საკითხების დღის წესრიგი. საბჭოს თავმჯდომარე სხდომის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განსახილველი საკითხების რაოდენობისა და შინაარსის გათვალისწინებით.

11.3 საბჭოს სხდომის მოწვევის უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის რექტორს, საბჭოს თავმჯდომარისათვის შესაბამისი წერილობითი მიმართვის გზით.

11.4 საბჭოს სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს წევრი უფლებამოსილია დღის წესრიგში ცვლილების შეტანის ანდა საკითხის დამატების მოთხოვნით დასაბუთებული წინადადებით მიმართოს საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ცვლილების ანდა დამატების შესახებ.

11.5 საბჭოს სხდომის დღის წესრიგი საბჭოს სხდომამდე გონივრულ ვადაში უნდა ეცნობოს საბჭოს ყველა წევრს.

მუხლი 12. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

12.1 საბჭო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში არსებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე, ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხს კენჭი ეყრება თავიდან, განმეორებით იგივე შედეგის დადგომის შემთხვევაში კი საკითხი მოიხსნება კენჭისყრიდან მასზე კონსულტაციების გაგრძელების მიზნით.

12.2 საბჭოს სხდომაზე საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სამართლებრივი აქტით – დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, რომელთა დამტკიცების უფლებამოსილებაც მას არ გააჩნია ფორმდება წარდგინების, განცხადების, მიმართვის ფორმით და თავმჯდომარის ხელმოწერით ეგზავნება რექტორს ან/და უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს თავისი პოზიცია გააფორმოს წერილობითი დასკვნით, რომელიც ერთვის სხდომის ოქმს.

12.4 საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ფორმდება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

12.5 საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღების დღეს, თუ სხდომის ოქმით ან/და დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 13. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

13.1 საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ მხარდაჭერას უწევს საბჭოს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ჩატარების ორგანიზებას, საბჭოს წევრთა დროულ ინფორმირებასა და სხდომებზე მოწვევას, მათთვის დღის წესრიგის გაცნობას, საბჭოს სხდომის ოქმისა და გადაწყვეტილებების შედგენას.

13.2 სხდომის მდივანი ვალდებულია, უზრუნველყოს საბჭოს აქტების მიწოდება უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურისათვის, საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, შემდგომი დამუშავებისა და შენახვის მიზნით.

თავი IV დასკვნითი დებულებები

მუხლი 14. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა

14.1 საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ლიკვიდაცია;

ბ) აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რეორგანიზაცია/ სტრუქტურული ცვლილება, რომელიც იწვევს წარმომადგენლობითი საბჭოს გაუქმებას;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის დაკარგვა;

დ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც წარმოშობს საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტას.

მუხლი 15. დებულების დამტკიცებისა და ცვლილებების წესი

15.1 წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

15.2 წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით დაკომპლექტებული საბჭოს პირველი სხდომის ჩატარების შემდეგ წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 16. გარდამავალი დებულებები

16.1 წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით დაკომპლექტებული პირველი საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებისთანავე უწყდება უფლებამოსილება წარმომადგენლობითი საბჭოს არსებულ წევრებს.